ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოები და მათი ეფექტურობის კვლევა

ლიკა სამხარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლექსიკოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ მარგალიტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

აბსტრაქტი

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო ლექსიკონის მომხმარებლთა კვლევა, რომელიც თეორიული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა. ამ კვლევებმა გამოავლინა, რომ მნიშვნელოვნად დაიკარგა ლექსიკონის გამოყენების კულტურა ბევრ ქვეყანაში, რის გამოც, ენის შემსწავლელებს ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული უნარ-ჩვევები არა აქვთ. საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა იგივე ვითარება წარმოაჩინა, ჩვენთანაც დაბალია ლექსიკონის გამოყენების კულტურა და უნარ-ჩვევები. სწორედ ამიტომ დაიგეგმა ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო ლექსიკონის უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოების შექმნა და მათი ეფექტურობის შესწავლა. კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებთან 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სალექციო კურსის „ლექსიკოგრაფიის შესავალი“ ფარგლებში. ჩვენი კვლევის მიზანი იყო ქართველ სტუდენტებში ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განსაზღვრა, სავარჯიშოების ციკლის შემუშავება ამ უნარ-ჩვევების განვითარებისათვის კონვერსიასთან, ომონიმიასთან და პოლისემიასთან მიმართებით, და ექსპერიმენტის ბოლო ეტაპზე ტესტის ჩატარება სავარჯიშოების ეფექტურობის შეფასების მიზნით.

კვლევაში მონაწილეობდა 20 სტუდენტი, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი ესწრებოდა პრაქტიკულ მეცადინეობებს რეგულარულად. ისინი, ვინც მუდმივად ესწრებოდნენ ლექციებს და მონაწილეობდნენ სავარჯიშოების შესრულებაში, ყოველი შემდეგი ტესტისთვის აუმჯობესებდნენ შედეგებს, ისინი თავადაც ამჩნევდნენ და აღნიშნავდნენ საკუთარ პროგრესს.

ჩატარებული ექსპერიმენტის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოკლე დროში შესაძლებელია ენის შემსწავლელებისათვის ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება სათანადო სავარჯიშოების დახმარებით. სასურველია შეიქმნას სახელმძღვანელო, რომელშიც შევა როგორც სავარჯიშოების ციკლი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კონვერსია, ომონიმია, პოლისემია, ფრაზული ზმნები, იდიომები, ისე მეთოდოლოგიური სახის რჩევები მასწავლებლებისათვის, რათა

მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს გამოყენებული სავარჯიშოები სასურველი მიზნის მისაღწევად.

Abstract

Studies on dictionary use started sfrom the 1970s and since that time research on dictionary use has become an important component of theoretical lexicography. These studies revealed significant decline of the dictionary culture in many countries, as a result of which learners of foreign languages lack elementary dictionary use skills. Research carried out in Georgia revealed the similar state, low dictionary culture and poor dictionary use skills. Proceeding from these considerations, an experiment was conceived with the aim to create execises for the development of dictionary use skills and to test their efficiency. The study was conducted at Ilia state University, department of English Philology in the spring semester of the academic year 2023-2024 within the framework of the theoretical course "Introduction to Lexicography". Our aim was to determine dictionary use skills in Georgian students, to work out exercises for the development of these skills in respect to conversion, homonymy and polysemy and at the final stage of the experiment to test the effectiveness of mentioned exercises.

20 students participated in the study, though not all of them attended classes regularly and participated in the practical work with exercises. Those students who attended lectures regularly and did exercises, improved their dictionary use skills. They acknowledged this progress themselves.

On the basis of the experiment it can be stated that it is possible to develop dictionary use skills in learners of English in a comparatively short period of time with the help of exercises tailored to the needs of learners. It is advisable to create a manual that will include exercises for the development of dictionary use skills and also provide it with methodological advices for teachers that will help them achieve maximum results with learners.